



საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 015/18¹ გადაწყვეტილების მოკლე მიმოხილვა

მარიამ სურმანიძე (სტუდენტი)

ფაქტები:

2016 წელს, ივნისში, ადვოკატსა და კლიენტს შორის შედგა შეთანხმება, რის შედეგად კლიენტმა ადვოკატს გაუფორმა მინდობილობა, რათა მიეღო მისგან მომსახურება კლიენტის მემკვიდრეობით-სამართლებრივ საკითხებში და ჰონორარის სახით გადასცა 1000 ლარი. ადვოკატმა კლიენტს უთხრა, რომ სამართალწარმოებას სამი თვის ვადაში დაასრულებდა სასამართლოსთვის მიმართვის გარეშე, თუმცა რამდენიმე თვეში ადვოკატმა განუცხადა კლიენტს, რომ სჭირდებოდა კიდევ 225 ლარი, რადგან სასამართლოსთვის მიმართვა საჭირო გახდა. 2017 წელს, მაისში, კლიენტი შეხვედრის მიზნით ჩავიდა ადვოკატთან, ადვოკატმა განუცხადა, რომ 2 კვირის ვადაში ელოდებოდა პასუხს და თუ ვერ მიიღებდა დაუბრუნებდა გადახდილ ჰონორარს - 1225 ლარს. 2 კვირის შემდგომ კლიენტი კვლავ ჩავიდა ადვოკატთან შეთანხმების შეწყვეტის თაობაზე, თუმცა ადვოკატმა უარი განაცხადა ჰონორარისა და დოკუმენტების დაბრუნებაზე და ხელწერილით დაადასტურა, რომ 2017 წლის 30 იანვრამდე დაასრულებდა საქმის წარმოებას. 2018 წლის იანვარს კლიენტი კვლავ დაუკავშირდა ადვოკატს, ადვოკატმა განუცხადა რომ სასამართლოს გარეშე მოაგვარა საქმე და სთხოვდა კლიენტს მასთან ჩასვლას, რათა ინფორმაცია დეტალურად მიეწოდებინა. შეხვედრა ვერ შედგა, კლიენტი ვერ დაუკავშირდა ადვოკატს. ეთიკის კომისიის სხდომაზე ადვოკატმა კლიენტს ახსნა-განმარტების შემდგომ გადასცა საქმის მასალები, თუმცა მორიგების მიუხედავად ადვოკატმა ჰონორარი არ გადაურიცხა კლიენტს.

პროცესუალური ისტორია:

კლიენტმა ადვოკატის წინააღმდეგ შეიტანა საჩივარი სსიპ „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიაში“, რომლის თანახმად, ითხოვდა ადვოკატისთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრებას. საპროცესო კოლეგიამ აღძრა დისციპლინური დევნა ადვოკატის მიმართ ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის (შემდგომში - აპეკ-ის) 8.15 მუხლის დარღვევის ფაქტზე.

სამართლებრივი შეფასება:

ეთიკის კომისიამ მოისმინა მხარეთა ახსნა-განმარტებები და მიიჩნია, რომ ადვოკატსა და კლიენტს შორის მართლაც არსებობდა საადვოკატო მომსახურება, რომლის შედეგად ადვოკატს უნდა ეწარმოებინა კლიენტის საქმე. მოცემულ შემთხვევაში, ეთიკის კომისია ითვალისწინებს დარღვევის სიმძიმეს და აქედან გამომდინარე, არსებულ ზიანს, მათ შორის ადვოკატის დამოკიდებულებას დარღვეული ქმედების მიმართ. კერძოდ, ადვოკატი თავად განმარტავს, რომ მას უნდა დაებრუნებინა ჰონორარი საჩივრის ავტორისთვის, რადგან მის მიერ არ იყო განხორციელებული საადვოკატო მომსახურება მიღებული ჰონორარის პროპორციულად, რაც დისციპლინური

¹ <https://gba.ge/pdf/5e2feaf816a38.pdf/015.18%20gaftrtileba%2001.10.19.pdf>

პასუხისმგებლობის ფორმის განსაზღვრისათვის შემამსუბუქებელი გარემოება იქნებოდა, თუმცა ადვოკატმა არ შეასრულა პირობა და არ დაუბრუნა საჩივრის ავტორს.

დასკვნა:

დისციპლინურ საქმეზე დადგინდა ადვოკატის მხრიდან პროფესიული ეთიკის კოდექსის 8.15 მუხლის დარღვევა და ადვოკატის მიმართ დისციპლინური პასუხისმგებლობის ფორმად განისაზღვრა გაფრთხილება.